მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

ალმასი

B1

ზღვრული დონე

თინათინ კილურაძე

ეკატერინე ქუთათელაძე

აღმართი B1

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის აღწერილი შემსწავლელის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული აქტივობების (დავალებებისა და სავარჯიშოების, პროექტების) მიზნები.აქტივობების ნუმერაცია მისდევს შემსწავლელის წიგნის ნუმერაციას. სამუშაო რვეულის დავალებების მიზნები საჭიროების მიხედვით არის მოცემული შემსწავლელის წიგნის დავალებებთან ერთად სინქრონული თანამიმდევრობით.

მოსმენისა და კითხვის ტიპებიდან სხვადასხვა აქტივობაში გათვალისწინებულია ვარჯიში გაგების 3 ტიპზე: გლობალური გაგება, სელექციური (შერჩევითი) გაგება და დეტალური გაგება(ტერმინთა განმარტებისთვის იხ. მეთოდური სახელმძღვანელო, თეორიული კურსი, თავი 2, გვ. 15).

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ავტორები – თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორები – რუსუდან ზექალაშვილი, ნატა დავითაშვილი
დამკაბადონებელი – ტატიანა საბანაძე

მასწავლებლის წიგნზე მუშაობაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაჟიორები: ანა როსტომაშვილი, თამთა ასანიძე და ნათია უღრელიძე

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი – მარიკა ოძელი

ISBN: 978-9941-0-7637-4

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, “ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების” პროგრამა, 2014

თავი I

ბიოგრაფია

ბლოკი 1: გოდერძი ჩოხელის ავტობიოგრაფია

1. სასურველია, ეს აქტივობა შესრულდეს წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. მისი მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი წასაკითხი ტექსტისთვის ვარაუდების გამოთქმის საშუალებით, კერძოდ, შემსწავლელებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები მთავარი გმირის და ავტორის პროფესიის შესახებ.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი წინა აქტივობაში გამოთქმული ვარაუდის გადამოწმების მიზნით და იპოვოს ავტორის პროფესია.
3. აქტივობის მიზანია ტექსტის გლობალური გაგება, მის ფორმაზე დაკვირვება ტექსტის სახეობის კლასიფიცირების მიზნით.
4. აქტივობის მიზანია ტექსტიდან ცალკეული ინფორმაციის ამოკრეფა – სელექციური კითხვა და ამავდროულად ტექსტის სტუქტურის გამოკვეთა. ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთაზე გრძელდება ვარჯიში სამუშაო რვეულის მე-9 აქტივობაში.
5. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავება, კერძოდ, მხოლოდ იმ ინფორმაციის მოძიება ტექსტში, რომელზეც არის დასმული კითხვა. იგივე ფუნქცია აქვს მე-3 აქტივობას სამუშაო რვეულში.
6. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი დააკვირდეს წყვეტილის ფორმებს და კონტექსტიდან გაარკვიოს, რა არის საერთო მათ შორის როგორც ფორმის მიხედვით (უწყვეტლისგან განსხვავებით ზმნისწინის დართვა და -დ/-ოდ სავრცობების მოშორება), ასევე შინაარსობრივად (დასრულებული მოქმედების გადმოცემა). ამ გრამატიკულ ფენომენზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-6 და მე-7 აქტივობებში, ხოლო კონტექსტიდან მნიშვნლობის დადგენაზე მუშაობა გათვალისწინებულია სამუშაო რვეულის მე-4 და მე-8 აქტივობებში (შემსწავლელი უნდა მიხვდეს სიტყვების / ფრაზების მნიშვნელობას კონტექსტიდან).
7. შემაჯამებელი წერითი დავალება: განვილილი მასალის საფუძველზე შემსწავლელმა უნდა შეძლოს ანალოგიური, თუმცა მარტივი ტექსტის შექმნა საყვარელ მსახიობზე ან რეჟისორზე (ამ დავალების შესასრულებალად აუცილებელია, სამუშაო რვეულში წინასწარ შესრულდეს მე-10 დავალება).

ბლოკი 2: ინტერვიუ ბიოგრაფიულ თემაზე გადაცემა ID-დან

1. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი ვიდეოჩანაწერის მთავარი თემებისთვის.
2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება, კერძოდ, მხოლოდ იმ ინფორმაციის გაგება, რომელიც მითითებულია აქტივობაში. მსგავსი მიზანი აქვს სამუშაო რვეულში მე-3 და მე-4 აქტივობებს.
3. აქტივობის მიზანია ტექსტის დეტალურად გაგების გავარჯიშება და საკუთარი ვარაუდის გამოთქმა, ხოლო შემდეგ – ვარაუდის გადამოწმების მიზნით, დეტალური მოსმენა. იგივე ფუნქცია აქვს სამუშაო რვეულში მე-7 და მე-8 აქტივობებს.
4. აქტივობის მიზანია ლექსიკაზე მუშაობა, კერძოდ, კონტექსტიდან სიტყვის მნიშვნელობის მიხვედრაზე ვარჯიში. მოცემული ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა ღრმავდება სამუშაო რვეულის იმავე ბლოკის 1-ელ და მე-2 აქტივობებში. ხოლო სამუშაო რვეულის მე-6 აქტივობაში გათვალისწინებულია სხვა ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა, რომელიც მოიცავს ყოველდღიური მსუბუქი ჟარგონის, ბარბარიზმების გაგებას კონტექსტიდან და სასაუბრო ენაში გავრცელებული ტიპური შეცდომების იდენტიფიცირებას.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაივარჯიშოს, პირად თემებზე შეკითხვების დასმაში და ამავდროულად შეძლოს რესპონდენტის როლში იმავე საკითხებზე საუბარი. აქტივობის შესასრულებლად შემსწავლელები უნდა დაიყონ წყვილებად, ჩამოართვან მეწყვილეს ინტერვიუ, ხოლო შემდეგ გაცვალონ როლები და მისცენ მეწყვილეს ინტერვიუ. სამუშაო რვეულის მე-5 აქტივობაში საკუთარ თავზე წერილობითი ფორმით წერა არის გათვალისწინებული. სასურველია, ჯერ სამუშაო რვეულის მე-5 აქტივობა შესრულდეს, ხოლო შემდეგ შემსწავლელის წიგნის მე-5 აქტივობა.

ბლოკი 3: ფორმალური ბიოგრაფია

1. აქტივობის მიზანია ფორმალური ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთა. ამ აქტივობის შესრულების ალტერნატიული ხერხი: მასწავლებელი ურიგებს შემსწავლელებს ნაწილებად დაჭრილ ტექსტს და ცალკეულ ზმნებს. შემსწავლელებმა უნდა მიუსადაგონ ტექსტის ნაწილს ზმნა. დასაჭრელი ფურცელი მოცემულია შემდეგ გვერდზე.

გასაქსეროქსებელი და ამოსაჭრელი ფურცელი:

მამა, ავთანდილ მაისურაძე, ინჟინერია, მუშაობს სამშენებლო კომპანია "არსში".
დედა, ანა ნიკოლაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია თბილისის მე-4 საჯარო სკოლაში.
მყავს ორი და და ერთი ძმა.
2011 წელს დავამთავრე თბილისის 34-ე საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.
ვცხოვრობ თბილისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის 153
ამჟამად ვსწავლობ პირველ კურსზე.

დავიბადე	ვსწავლობ
დავამთავრე	ვცხოვრობ
ჩავირიცხე	მუშაობს

2. აქტივობის მიზანია ტექსტის დეტალური გაგება, კერძოდ, ლექსიკაზე მუშაობა: მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების შემცველი ფრაზების იდენტიფიცირება. იმავე მიზანს ემსახურება სამუშაო რვეულის ამავე ბლოკის 1-ლი აქტივობა.
3. აქტივობის დროს ვარჯიშდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევა და ამავდროულად მნიშვნელოვანია მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების ფორმების სწორად გამოყენება, განსაკუთრებით ზედსართავ სახელებთან.
4. აქტივობა დოკუმენტური ფილმებიდან ბიოგრაფიის სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევას ავითარებს. ამავდროულად შემსწავლელი ვარჯიშობს, პროდუცირების დონეზე მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში როგორ გამოიყენოს ზედსართავები და ბიოგრაფიულ ტექსტებში ხშირად გამოყენებული ზმნების ფორმები (წყვეტილის მწკრივი). ლექსიკურ ერთეულებზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-2 აქტივობაში. ხოლო ნასწავლი და გავარჯიშებული მასალის ტრანსფერი სამუშაო რვეულის მე-3 აქტივობის მიზანია.

ბლოკი 4: CV – ტაბულარული ბიოგრაფია

1. აქტივობის მიზანია შემზადება CV-ს ფორმატის გასაცნობად, შესაბამისად, წინარე ცოდნის გამოყენება და გაბმული ტექსტიდან (მარიამის ავტობიოგრაფია: მე-3 ბლოკი, 1-ლი აქტივობა) ინფორმაციის გადმოტანა ცალკეულ გრაფებში, ფორმატის ცვლილებასთან ერთად ტექსტის მოდიფიცირება (ზმნების გამოკლება, სახელობითი ბრუნვის გამოყენება, თარიღის ფორმატის შეცვლა...).
2. აქტივობის მიზანია CV-ს ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთაზე ვარჯიში. ამავე მიზანს ემსახურება 1-ლი, მე-2 და მე-3 აქტივობები სამუშაო რვეულში.
3. აქტივობის მიზანია სელექციურ კითხვაზე ვარჯიში: განცხადების ტექსტიდან გამომდინარე ცალკეული ინფორმაციის მოძიება ტექსტებში და არგუმენტირება.
4. აქტივობის მიზანია არგუმენტირება და მომზადება საბოლოო მიზნობრივი აქტივობისთვის – სამუშაო რვეული, მე-5 აქტივობა.
5. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება და საბოლოო მიზნობრივი აქტივობისთვის შემზადება (სამუშაო რვეული, მე-5 აქტივობა). იმავე მიზანს ემსახურება სამუშაო რვეულის მე-4 აქტივობა.
6. აქტივობის მიზანია საბოლოო აქტივობის – „ჩემი CV“ (სამუშაო რვეული, მე-5 აქტივობა) –ევალუაცია წყვილებსა და ფორუმში.

თავი II

სამოტივაციო წერილები და გასაუბრება

ბლოკი 1: ვაკანსიები

1. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა წაიკითხოს ტექსტი და იპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც აქტივობაშია მოცემული.
2. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი ვაკანსიის განცხადების გასაგებად ლექსიკაზე მუშაობის საშუალებით. შემსწავლელს მიეწოდება სინონიმური ფრაზები, რომელთა მეშვეობითაც მათ უნდა ამოიცნონ მსგავსი ფრაზების მნიშვნელობა. იმავე მიზანს უფრო მეტად ემსახურება სამუშაო რვეულის პირველი ბლოკის 1-ლი აქტივობა.
3. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი წასაკითხი ტექსტისთვის. კერძოდ, ჩამოთვლილი პროფესიული უნარების შესახებ შეძლოს ვარაუდის გამოთქმა. იმავე მიზანს ემსახურება, უფრო გაღრმავებით, სამუშაო რვეულის პირველი ბლოკის მე-4 აქტივობა, რომელშიც საჭიროა კომპეტენციების დაჯგუფება, კერძოდ, პროფესიული უნარებისა და პიროვნული თვისებების გამიჯვნა.
4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი და იპოვოს ჩამოთვლილი ვაკანსიების მიმართ მოთხოვნები, გადაამოწმოს თავისი ვარაუდი.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელს განუვითაროს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი მიზნობრივ ენაზე კონკრეტული თემის ირგვლივ და უბიძგოს უფრო ინტენსიურად გაეცნოს ქართულ ინტერნეტსივრცეს.

ბლოკი 2: სამოტივაციო წერილი

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელის წინარე ცოდნის აქტივაცია და ლექსიკაზე მუშაობა შემდეგი აქტივობებისთვის შემზადების მიზნით. კერძოდ, სამოტივაციო წერილის სტრუქტურული ელემენტების გაცნობიერება და სინონიმური ფრაზების მეშვეობით უცნობი ფრაზების მნიშვნელობის გაგება.
2. აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია სამოტივაციო წერილის ტექსტის სტრუქტურის შესახებ. ეს შემსწავლელს ხელს უწყობს მოემზადოს შემდგომი აქტივობისთვის.
3. აქტივობის მიზანია ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთა მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილების იდენტიფიცირების საშუალებით. იმავე მიზანს ემსახურება სამუშაო რვეულის მეორე ბლოკის მეორე აქტივობა. აქტივობის მიზანი ასევე არის წინა აქტივობაში გამოთქმული ვარაუდის გადამოწმება.
4. აქტივობის მიზანია კითხვის სელექციური უნარ-ჩვევის განვითრება, კერძოდ, ცხრილში მოცემული ინფორმაციის მოძიება და გადამოწმება ტექსტში.
5. შემაჯამებელი წერითი აქტივობა: მისი მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გადატანა და საკუთარი აზრის დაფიქსირება არგუმენტირებულად, მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.

ბლოკი 3: როგორ დავწეროთ სამოტივაციო წერილი?

1. **ა** აქტივობის მიზანია, ჯგუფმა გაიხსენოს წინა ბლოკებში მიღებული ინფორმაცია, შეიმუშავოს პუნქტები, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს და მოემზადება შემდეგი აქტივობისთვის.
   ბ აქტივობის მიზანია ინდივიდუალურად და / ან ჯგუფურად აზრის არგუმენტირებულად დასაბუთებაში ვარჯიში.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, მცირე მოცულობის ტექსტიდან მხოლოდ საჭირო ინფორმაციის (აქ – ოთხი კრიტერიუმის) იდენტიფიცირება. კრიტერიუმები შემსწავლელს შემდგომში დაეხმარება საკუთარი სამოტივაციო წერილის ტექსტის შემუშავებაში.
3. აქტივობის მიზანია ცოდნის ტრანსფერი პრაქტიკაში ინფორმაციის გაანალიზების მეშვეობით და ვარჯიში აზრის არგუმენტირებულად გადმოცებაში.
4. **ა** აქტივობის მიზანია გრამატიკული ფენომენის იდენტიფიცირება. კერძოდ, შემსწავლელი უნდა დააკვირდეს მეორე კავშირებითისა და წყვეტილის ფორმებს, გაარკვიოს რა არის მათ შორის საერთო ან განმასხვავებელი როგორც ფორმის (მეორე კავშირებითისგან განსხვავებით --**ე** აფიქსის დართვა სიტყვის ბოლოს), ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით (დასრულებული მოქმედების გადმოცემა). შეადარეთ: მეთოდურ სახელმძღვანელოში გრამატიკის თვითაღმოჩენით სწავლა.
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელი დააკვირდეს სიტყვებს, რომლებთანაც გამოიყენება მეორე კავშირებითის ზმნის ფორმა.
   გ აქტივობის მიზანია, შემსწავლელი თავად მიხვდეს იდენტიფიცირებული ფორმების ფუნქციურ დატვირთვას.

5. **ა** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ყურადღება მიაქციოს ზმნების განსხვავებულ დაბოლოებებს და დააკვირდეს ცვლილებას ნაცნობ და ახალ ფორმებს შორის (მეორე კავშირებითის შემთხვევაში **-ო**, ხოლო წყვეტილის შემთხვევაში **-ე** სუფიქსები).
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა წინა აქტივობებში დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე თავად ჩამოაყალიბოს წესი.
6. **ა** აქტივობის მიზანია ტრანსფერი განსხვავებულ ტექსტზე და შემსწავლელის არსებული ცოდნის გაღრმავება მეორე კავშირებითის ფორმის მქონე ზმნებთან დაკავშირებით.
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ერთი და იმავე ფორმის ზმნებში განსხვავებული შინაარსის იდენტიფიცირება, კერძოდ იმისა, რომ მეორე კავშირებითის ფორმის მქონე ზმნები, გარდა სასურველი ქმედებისა, აუცილებელ მოქმედებასაც გამოხატავს.
   გ აქტივობის მიზანია, შემსწავლელი მიხვდეს, რა იწვევს შინაარსობრივი დატვირთვის ცვლილებას ერთსა და იმავე ფორმის ზმნებში, კერძოდ, "უნდა" სიტყვის ფუნქციას მოცემულ კონტექსტში.
7. შემაჯამებელი წერითი აქტივობა: განვლილი მასალის საფუძველზე შემსწავლელმა უნდა შეძლოს ანალოგიური, თუმცა მარტივი ტექსტის შექმნა. შედარებით წინწასული შემსწავლელისთვის შესაძლებელია დავალების დიფერენცირება და მისი წახალისება, წინასწარ მოუსმინოს შემდეგი ბლოკის მე-2 დავალებაში მოცემულ ვიდეოჩანაწერს.
8. იმავე მიზანს ემსახურება სამუშაო რვეულის მეორე ბლოკის მეოთხე აქტივობა. აგრეთვე მესამე ბლოკის 1-ლი, მე-2 და მე-3 აქტივობები.

ბლოკი 4: გასაუბრება

1. აქტივობის მიზანია მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, შემსწავლელმა, მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნდა შეძლოს მოცემული ფრაზების მთქმელთან იდენტიფიცირება: რომელი მიეკუთვნება დამსაქმებელს და რომელი – სამუშაოს მაძიებელს.
2. აქტივობების მიზანია მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის განვითარება სხვადასხვა შინაარსობრივი ელემენტების იდენტიფიცირების მიზნით (**ა**, **ბ**, **გ** აქტივობები). კერძოდ, **ა** – მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემების ამოკრეფა. **ბ** და **გ** – გასაუბრებაზე მოქცევის წესების იდენტიფიცირება.
3. პროდუქტიული ტიპის აქტივობაა, რომელიც შემსწავლელს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში და შეძლოს ინსტრუქციების შემუშავება, რისთვისაც დასჭირდება მეორე კავშირებითის ფორმები.
4. **ა** აქტივობის მიზანია მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის განვითარება სამი მსხვილი საინფორმაციო ერთეულის ამოცნობის საშუალებით.
   ბ აქტივობის მიზანია შედარებით წვრილი საინფორმაციო ერთეულების იდენტიფიცირების გზით სელექციური და დეტალური უნარ-ჩვევის განვითარება. სწორი პასუხების საპოვნელად შემსწავლელს უწევს ჩანაწერის მოცემული მონაკვეთის დეტალურად მოსმენა.
   გ აქტივობის მიზანი მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე მცირე ტექსტის დაწერაა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ზმნის მესამე პირის ფორმებზე ვარჯიში, რადგან შემსწავლელს სწორედ მათი საშუალებით უწევს აქტივობის შესრულება.
   დ აქტივობის მიზანია მოსასმენი ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთა თანამიმდევრობის დადგენის გზით.
5. აქტივობის მიზანია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და მიზნობრივ ენაზე არგუმენტირებული მსჯელობის / დისკუსიის დროს აზრის გამოთქმაზე ვარჯიში.
6. თავის შემაჯამებელი აქტივობა: შემსწავლელს უწევს როგორც სამოტივაციო წერილის, აგრეთვე ვაკანსიის დაწერა, ხოლო ბოლოს გასაუბრების შეფასება. აქტივობის მიზანია, შეაფასოს, რამდენად აითვისა შემსწავლელმა მოცემულ თემაში განხილული საკითხები და რეალურად რა შეუძლია ენობრივად მოცემული მომენტისთვის. შემსწავლელმა უნდა შეძლოს განვლილი მასალის საფუძველზე ანალოგიური, თუმცა მარტივი ტექსტის შექმნა.

თავი III

პროფესიები

ბლოკი 1: საქართველოში გავრცელებული პროფესიები

1. სასურველია, პირველი აქტივობა პირველ ეტაპზე შესრულდეს ინდივიდუალურად, ხოლო შემდეგ შემსწავლელები ფორუმში გამოთქვამენ თავიანთ აზრს. აქტივობის მიზანია პროფესიების თემაზე წინარე ცოდნის აქტივაცია, გახსენება.
2. მეორე ა აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა მოუსმინოს ვიდეოჩანაწერს და დაწერონ, რა სპეციალობას ფლობენ საქართველოს დეპუტატები. ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს უცნობი ტერმინის მნიშვნელობის ამოცნობა სინონიმის მეშვეობით. ორივე აქტივობის შედეგები შეიძლება შეადარონ და თავადვე შეამოწმონ შემსწავლელებმა წყვილებში. იგივე ფუნქცია აქვს სამუშაო რვეულში მეორე და მესამე აქტივობებს.
3. სასურველია, მესამე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა მოუსმინოს ჩანაწერს დეტალურად და აღნიშნოს ამა თუ იმ პროფესიას რამდენი წარმომადგენელი ჰყავს.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი დააკვირდეს ტექსტში სიტყვათწარმოების აფიქსებს და გაარკვიოს, რა არის მათ შორის საერთო და განმასხვავებელი.

ბლოკი 2: საპასუხისმგებლო პროფესიები: ადვოკატი და მასწავლებელი

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. მისი მიზანია, შემსწავლელებმა გამოთქვან ვარაუდი ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებით, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული, გაიაქტიურონ წინარე ცოდნა.
2. სასურველია, მეორე აქტივობა შესრულდეს წყვილებში (მრავალფეროვნებისთვის სასურველია მეწყილეების შეცვლა). შემსწავლელები გამოთქვამენ ვარაუდს, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ადვოკატის პროფესია, რაც ემსახურება ამ ბლოკის მთავარი ტექსტისთვის შემზადებას.
3. სასურველია, მესამე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. შემსწავლელი თავისი სიტყვებით განმარტავს მოცემულ ფრაზას, შეძლებს საკუთარი აზრის დაწერას. ეს აქტივობაც არის მე-5 აქტივობაში მოცემული ტექსტისთვის შემზადება შინაარსობრივი და ლექსიკური კუთხით.
4. მეოთხე აქტივობა თავდაპირველად შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად და შემდეგ განხილულ იქნას წყვილებში. აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება, კერძოდ კონტექსტიდან სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობაზე ვარჯიში, რაც ასევე დაეხმარება შემსწავლელს ბლოკის ცენტრალური ტექსტის გაგებაში.
5. მეხუთე **ა** აქტივობა შესრულდება მცირე ჯგუფებში ან წყვილებში. აქტივობის მიზანია ტექსტის მოცემული მონაკვეთის ძირითადი აზრის გაგება. **ბ** აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა შეძლონ აზრის მოკლედ გადმოცემა საკუთარი სიტყვებით.
6. აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია ტექსტიდან ძირითადი აზრის გაგება, ინფორმაციის გადამოწმება. წერილობითი ფორმით, ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებით, საკუთარი აზრის გამოთქმა. წერილობითი სამუშაო რვეულის მეორე აქტივობაში არის გათვალისწინებული.
7. აქტივობა შესრულდება ჯგუფურად. აქტივობის მიზანია დისკუსიის გამართვა ჯგუფებში, სადაც შემსწავლელები ჩამოაყალიბებენ არგუმენტებს ადვოკატის პროფესიასთან დაკავშირებით.
8. პროფესიებზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის შემდეგ აქტივობებში:
    1. აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. მოცემული ყალიბის დახმარებით შემსწავლელები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, როგორი მასწავლებლები იქნებოდნენ.
    2. აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელები გადახედავენ ტექსტს და აღნიშნავენ, როგორი იქნებოდა, ტექსტის მიხედვით, ავტორის ჩატარებული გაკვეთილი.
    3. აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. ტექსტიდან სტუდენტები ამოწერენ იმ ზმნებს, რომლებიც ოცნებას გამოხატავს.
    4. ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობა. შემსწავლელები ნასწავლი მასალიდან შეძლებენ აღწერას, როგორი იქნებოდა მათი ჩატარებული გაკვეთილი.

ბლოკი 3: რა პროფესიები მოსწონთ ფეხბურთელებს?

1. პირველი აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადახედოს ტექსტის პირველ აბზაცს და გაარკვიოს, რის შესახებ არის მოცემული ტექსტი.

2. სასურველია, მეორე აქტივობა შესრულდეს წყვილებში, შემსწავლელები დაწერენ თავიანთ აზრს, გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა პროფესია შეიძლება ჰქონოდათ დასახელებულ ცნობილ ადამიანებს.
3. სასურველია, მესამე აქტივობაშესრულდეს წყვილებში. შემსწავლელები გადაამოწმებენ თავიანთ ვარაუდს, ამავდროულად, გავარჯიშდება სელექციური კითხვის უნარი. ამავე ფუნქციას ასრულებს სამუშაო რვეულის მეორე აქტივობა, რომელიც შესრულდება ინდივიდუალურად.
4. მეოთხე აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელი ტექსტში მოძებნის პროფესიის სინონიმს.
5. მეხუთე აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ტექსტში იპოვოს ისეთი სიტყვები, რომლებიც მოჰყვება მოცემულ ფრაზებს. მოცემულ სიტყვებს დააკავშირებს პარალელურ ფორმებთან და შეძლებს დაადგინოს, რომელია არარეალური მოქმედების გამომხატველი აფიქსი.
6. ესაა წერითი აქტივობა. მეექვსე აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. მოცემული ყალიბის დახმარებით შემსწავლელი დაწერს, თუ რომელი პროფესიაა შესაფერისი მისი ჯგუფის წევრისთვის.

ბლოკი 4: ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიები

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს სამკაციან ან ოთხკაციან ჯგუფებში. შემსწავლელები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, რომელი მათგანია ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიები და გამართავენ დისკუსიას.
2. შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და გადაამოწმებენ თავიანთ ვარაუდს. იმავე ფუნქციას ასრულებს სამუშაო რვეულის მეორე სავარჯიშო.
3. ტექსტიდან გამომდინარე, მოცემული ყალიბის დახმარებით, შემსწავლელები დაწერენ რას აკეთებს თითოეული პროფესიის წარმომადგენელი.
4. შემაჯამებელი წერითი აქტივობები იქნება რვეულის მეოთხე ბლოკის მე-6, მე-7 და მე-8 აქტივობები, რომლებშიც შემსწავლელები დაწერენ ყველაზე საინტერესო, იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიების შესახებ.

თავი IV

მოგზაურობა

ბლოკი 1: ალპინიზმი

1. **ა** აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება, სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი და შეავსოს გამოტოვებული ადგილები.
   ბ აქტივობა შემსწავლელს ეხმარება შესაბამისი გრამატიკული მასალის ათვისებაში. პრეფიქს-სუფიქსის გამოყოფა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა სიტყვაში.
2. აქტივობის მიზანია ლექსიკაზე მუშაობა. შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოგზაურობის თემასთან დაკავშირებული აბრევიატურების / შემოკლებების შესწავლა.
3. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა მოუსმინოს აუდიოჩანაწერს და მოსმენილის მიხედვით აღნიშნოს სწორი პასუხი.
4. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელს შეუძლია, ვიდეოჩანაწერის კიდევ ერთხელ მოსმენის შემდეგ უპასუხოს შეკითხვებს. კერძოდ, უნდა აღნიშნოს მთავარი გმირის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები.
5. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია, ინტერვიუს გაგება ალპინიზმის თემაზე. დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა გაიგოს და ჩაინიშნოს, რას ფიქრობს მთავარი გმირი მსახიობის პროფესიაზე.
6. აქტივობის მიზანია მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის განვითრება. შემსწავლელმა მოცემული პასუხებიდან უნდა აირჩიოს სწორი ვარიანტი. მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულში.

ბლოკი 2: კარვის გაშლა

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯგუფებში. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება, წინარე ცოდნის აქტივაცია, ინსტრუქციების გაგება კარვის გაშლასთან დაკავშირებით.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. მოცემული სურათები უნდა დაუკავშირონ ტექსტებს.
3. აქტივობის მიზანია შესაბამის გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, მეორე კავშირებითის განმტკიცება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს "უნდა"-ს და მასთან დაკავშირებული ზმნების სწორად გამოყენება.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა განსაზღვროს რა შემთხვევაში გამოიყენება წინადადებაში "უნდა".
5. აქტივობის მიზანია **დონიანი** და **ინიანი** ფორმების გამოყენება. ტექსტში უნდა იპოვონ ზმნები, რომელებიც იწარმოება ამ ფორმების გამოყენებით. გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულშიც.
6. აქტივობის მიზანია გრამატიკული მასალის განმტკიცება, კერძოდ, ვნებითი გვარის ფორმებთან დაკავშირებული სავარჯიშოს შესრულება. უნდა დაწერონ ინსტრუქციები ვნებითი გვარის გამოყენებით.

ბლოკი 3: მოგზაურის ჩანაწერები

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ- ჩვევის განვითარება, ვარაუდების გამოთქმა, საკუთრი აზრის დაფიქსირება.
2. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს, მეწყვილეს მოუყვეს მოგზაურობისას რომელ ტრანსპორტს ირჩევს. თვითონ უნდა დაგეგმონ და შეადგინონ მოგზაურობის მარშრუტი სამუშაო რვეულში.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. წაკითხულის შემდეგ შემსწავლელმა უნდა დახაზოს რუკა ტექსტში მოცემული ადგილების მიხედვით. სამუშაო რვეულში არის შესაბამისი გრამატიკული მასალის განსამტკიცებელი სავარჯიშოები.
4. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯგუფურად. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება: უნდა დაწერონ წაკითხული ტექსტის შინაარსი. ამ უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულში.

ბლოკი 4: მოგზაურთა ტიპები და ტურები

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. შეკითხვა უნდა დაუსვას მეწყვილეს და ბოლოს შეაჯამოს, როგორი მოგზაურია მისი მეწყვილე. სამუშაო რვეულში წერს როგორი მოგზაურია თვითონ.

2. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება, მსჯელობა და არგუმენტების მოყვანა.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის განვითარება. მოცემული პლაკატებიდან უნდა ამოწეროს მისთვის საჭირო ინფორმაცია და დააჯგუფოს ცხრილში.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მეგობარს ურჩიოს როგორ დაისვენოს, სად დაისვენოს და რატომ. უნდა ჩამოაყალიბოს აზრი და მოიყვანოს არგუმენტები.
5. თავის შემაჯამებელი აქტივობა: აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ჯგუფთან ერთად შეძლოს და შეაჯამოს თემა და გამოავლინოს ყველაზე პოპულარული ტური ჯგუფში. სამუშაო რვეულში უნდა დაწეროს როგორი მოგზაურობა მოსწონს და დაგეგმოს მისთვის სასურველი ტური.

თავი V

სპორტი

ბლოკი 1: სპორტი და ჯანმრთელობა

1. შემსწავლელის წიგნის პირველი აქტივობა სასურველია, შესრულდეს ფორუმში. აქტივობის მიზანია შემსწავლელის წინარე ცოდნის აქტივაცია სპორტის თემასთან დაკავშირებით, კერძოდ, შემსწავლელები დაასახელებენ მოცემული სურათებიდან სპორტის მათთვის ნაცნობ სახეობებს.
   ბ აქტივობა სასურველია შესრულდეს ინდივიდუალურად, შემსწავლელები დაწერენ სპორტის ნაცნობ სახეობებს და შეადარებენ ერთმანეთს. ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ აქტივობაში, რომელში მოცემულ ცხრილშიც სპორტის ჩამოთვლილ სახეობებს დააჯგუფებენ.
2. მეორე აქტივობა სასურველია შესრულდეს წყვილებში, შემსწავლელები დაწერენ, სპორტის რომელი სახეობა მოსწონთ და რატომ. ამ აქტივობით გაივარჯიშებენ წერის უნარ-ჩვევას.
   ბ აქტივობა ხელს უწყობს ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას, კერძოდ, წინასწარ ჩანიშნული ინფორმაციის მეშვეობით ენის შემსწავლელი მოუყვება ჯგუფს, რა მოსწონს მის მეწყვილეს. ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მეორე აქტივობაში, რომელშიც შემსწავლელები სიხშირის აღმნიშვნელი ზმნიზედების დახმარებით დაწერენ, რამდენად ხშირად არიან დაკავებული სპორტით.
3. აქტივობის მიზანია ტექსტის გაგება გლობალურად. თავდაპირველად შემსწავლელები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდს, შემდეგ კი საკუთარ ვარაუდებს გადაამოწმებენ ტექსტში.
   გ აქტივობა ხელს უწყობს სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას, კერძოდ, შემსწავლელები ტექსტის მიხედვით წერენ სპორტის დადებით მხარეებს. ტექსტის დეტალურ გაგებაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-3 აქტივობაში.
4. ამ ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობა წარმოდგენილია სამუშაო რვეულის მე-4 აქტივობაში. განვლილი მასალის საფუძველზე შემსწავლელმა უნდა დაწეროს, რა გავლენა აქვს სპორტს მათ ცხოვრებაზე.

ბლოკი 2: სპორტის უძველესი სახეობები

1. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი ტექსტის მთავარი თემისთვის.
2. სასურველია, მესამე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის გავარჯიშება, კერძოდ, ტექსტის დახმარებით შემსწავლელები დაწერენ, სპორტის მოცემული სახეობების სათამაშოდ რომელი ატრიბუტებია საჭირო, სელექციურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ აქტივობაში.
3. მეოთხე აქტივობა შესრულდება წყვილებში, აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელები ბარათებზე დაწერენსპორტის მოცემული სახეობების თამაშის წესებს. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-2 და მე-3 აქტივობებში.
4. სასურველია, მეხუთე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა ტექსტის დახმარებით ამოწერონ მაკავშირებელი სიტყვები. მაკავშირებელ სიტყვებზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-4 აქტივობაში.
5. სასურველია, მეექვსე და მეშვიდე აქტივობები შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობების მიზანია ტექსტის დახმარებით "ანუ" კავშირის გამოყენება. მოცემულ კავშირზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-6 აქტივობაში.
6. ამ ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობა გვხვდება სამუშაო რვეულის მე-7 აქტივობაში. ამ აქტივობაში შემსწავლელები დაწერენ თავიანთ აზრს, რომელი სპორტული შეჯიბრება მოეწონათ ყველაზე მეტად.

ბლოკი 3: ოლიმპიური თამაშები

1. სასურველია, აქტივობა შესრულდეს მცირე ჯგუფებში. აქტივობის მიზანია, მოცემული სურათებთან დაკავშირებით შემსწავლელებმა გამოთქვან თავიანთი ვარაუდი, რა იციან მათ შესახებ.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელები მოცემული ტექსტიდან გამომდინარე დაწერენ, ვინ დააარსა ოლიმპიური თამაშები.
3. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები შეძლებენ მოცემული ტექსტის დახმარებით კითხვებზე პასუხის გაცემას. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ და მეორე აქტივობებშიც.
4. აქტივობა სასურველია შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.

5. მეხუთე აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-4, მე-5 და მე-6 აქტივობებში.
6. ამ ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობა გვხვდება სამუშაო რვეულის მე-3 აქტივობაში, რომელშიც შემსწავლელმა უნდა დაწეროს, თუ რომელ ოლიმპიურ თამაშს უყურებს და რომელი მოსწონს.

ბლოკი 4: ჯომარდობა და ფრისბი

1. სასურველია, პირველი აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა გაიაქტიურონ წინარე ცოდნა, კერძოდ, დაასახელონ საწყალოსნო სპორტის ექსტრემალური სახეობები.
2. მეორე აქტივობა სასურველია შესრულდეს ინდივუდუალურად. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ, მეორე და მესამე აქტივობებში.
3. სასურველია, მესამე აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-4 და მე-5 აქტივობებში.
4. მეოთხე აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-6 აქტივობაში.
5. მეხუთე აქტივობა შესრულდება ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
6. მეექვსე აქტივობა შესრულდება წყვილებში. შემსწავლელები სურათებთან დაკავშირებით გამოთქვამენ ვარაუდს.
7. მეშვიდე აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. სელექციურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-7 აქტივობაში.
8. მერვე აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, კერძოდ, მოსმენილი ინფორმაციიდან შემსწავლელები შეძლებენ ფრისბის თამაშის ეტაპების დაწერას. დეტალურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-8 აქტივობაშიც.

თავი VI

თავისუფალი დრო

ბლოკი 1: თავისუფალი დრო და ფოტოგრაფია

1. პირველი აქტივობა სასურველია შესრულდეს ფორუმში. აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა გაიაქტიურონ წინარე ცოდნა თავისუფალ დროსთან დაკავშირებით და განმარტონ, რა არის მათთვის თავისუფალი დრო.
2. სასურველია, მეორე აქტივობა შესრულდეს წყვილებში. მოცემული ფრაზების დახმარებით შემსწავლელები გაივარჯიშებენ ლექსიკაში და გამუქებული ასოების დახმარებით შეადგენენ მთავარ სიტყვას. ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ, მეორე და მესამე აქტივობებში, რომლებშიც შემსწავლელები სიხშირის გამომხატველი ზმნიზედების დახმარებით დაწერენ, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, მოცემული პუნქტებიდან რომელს ანიჭებენ უპირატესობას და თუ ატარებენ თავისუფალ დროს სხვა აქტივობებით.
3. სასურველია, მესამე აქტივობა შესრულდეს წყვილებში. ამ აქტივობით შემსწავლელები გაივარჯიშებენ ლექსიკაში.
4. მეოთხე აქტივობა შესრულდება წყვილებში. ესაა ტექსტისთვის შესამზადებელი აქტივობა. შემსწავლელები გამოთქვამენ ვარაუდს და ტექსტში გადაამოწმებენ. ტექსტის დეტალურ დამუშავებაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-4 აქტივობაშიც.
5. მეხუთე აქტივობა სასურველია შესრულდეს ინდივიდუალურად. შემსწავლელები დაწერენ მოცემული სიტყვების შესაბამის სიტყვებს და მათ დააჯგუფებენ ცხრილში.
6. აქტივობა სასურველია შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გაუმჯობესება. შემსწავლელები ამ უნარ-ჩვევაზე ვარჯიშს იწყებენ სამუშაო რვეულის მე-5, მე-6 და მე-7 აქტივობებში და აგრძელებენ შემსწავლელის წიგნის მე-6 აქტივობაში.
7. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება მე-7 და მე-8 აქტივობებში.
8. სასურველია, მეცხრე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
9. მეათე აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
10. მეთერთმეტე აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები გამართავენ დისკუსიას ფოტოგრაფიასთან დაკავშირებით.
11. ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობა წარმოდგენილია სამუშაო რვეულის მე-8 აქტივობაში, რომელშიც უნდა დაწერონ ფოტოგრაფიის განვითარების ეტაპები.

ბლოკი 2: სად და როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?

1. სასურველია, პირველი აქტივობა შესრულდეს ფორუმში. აქტივობის მიზანია ტექსტისთვის შემზადება და ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
2. სასურველია, მეორე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
3. მესამე აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-2 და მე-3 აქტივობებშიც.
4. სასურველია, მეოთხე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. ამ აქტივობით შემსწავლელები დააკვირდებიან **გამო / მიზნით** სიტყვების შემცველ წინადადებებს და მათი დახმარებით შეძლებენ წესის ჩამოყალიბებას. ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-4 და მე-5 აქტივობებში.
5. მეხუთე აქტივობის დახმარებით გაივარჯიშებენ წინა აქტივობაში მიღებულ ცოდნას და შეაჯამებენ ინფორმაციას.

ბლოკი 3: წიგნის კითხვა

1. სასურველია, პირველი აქტივობა შესრულდეს ფორუმში. შემსწავლელები გამოთქვამენ თავიანთ აზრს წიგნის კითხვასთან დაკავშირებით.
2. მეორე აქტივობა სასურველია, შესრულდეს წყვილებში. აქტივობის მიზანია მოსმენამდე შეამზადოს შემსწავლელები.
3. მესამე აქტივობა სასურველია, შესრულდეს წყვილებში. შემსწავლელები გადაამოწმებენ თავიანთ ვარაუდებს.
4. სასურველია, მეხუთე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის მე-2 აქტივობაში.
5. მეხუთე აქტივობის მიზანია კითხვისთვის შემზადება.

6. მეექვსე აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
7. ბლოკის შემაჯამებელი წერითი აქტივობები წარმოდგენილია სამუშაო რვეულის მე-6 და მე-7 აქტივობებში.

ბლოკი 4: ფლეშმობი

1. სასურველია, პირველი აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. შემსწავლელები წაიკითხავენ მოცემულ ნაწყვეტებს და შეეცდებიან დაწერონ ტექსტის დასასრული.
2. მეორე აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება სამუშაო რვეულის პირველ აქტივობაში.
3. მესამე აქტივობა სასურველია, შესრულდეს ინდივიდუალურად. შემსწავლელები შეეცდებიან მოცემული მაკავშირებელი სიტყვის დახმარებით წინადადებების დაკავშირებას.
4. სასურველია, მეოთხე აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. შემსწავლელები შეეცდებიან, მოცემული მაკავშირებელი სიტყვები სწორი ფორმით ჩასვან ტექსტში.
5. ბლოკის შემაჯამებელი აქტივობის მიზანია, მიღებული ცოდნის საფუძველზე შემსწავლელებმა დაგეგმონ ფლეშმობი. ამ აქტივობის შესრულებაში დაეხმარებათ სამუშაო რვეულის მე-3 აქტივობა.

თავი VII

თბილისი და ქალაქში გადაადგილება

ბლოკი 1: თბილისი ფოტოგრაფების თვალით

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება, წინარე ცოდნის აქტივაცია თბილისის უბნებთან დაკავშირებით. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. შემსწავლელები გამოთქვამენ ვარაუდს, სად არის ფოტოზე აღნიშნული ადგილი, რა შენობაა და რით შეიძლება მისვლა. აქვთ შესაძლებლობა, ვარაუდი გადაამოწმონ ინტერნეტის საშუალებით. თუ ვერავინ გამოიცნობს ადგილს, მასწავლებელს შეუძლია დავალებად მისცეს, მოძებნონ ეს ადგილები სხვების დახმარებით, შემდეგ მივიდნენ და ფოტოები გადაიღონ ამ ადგილას. განსახორციელებელი დრო – 5 წთ.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი და შეავსოს ცხრილი სტატიის შესახებ. განსახორციელებელი დრო – 2 წთ. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულშიც (დავალება N 1). შემსწავლელმა ტექსტის მიხედვით უნდა დაახასიათოს სტატიის ავტორი.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა ისევ უნდა გადაიკითხოს ტექსტი და მოცემული შეკითხვებიდან აღნიშნოს სწორი/არასწორი წინადადება. განსახორციელებელი დრო – 3-4 წთ. მასწავლებელმა უნდა სთხოვოს შემსწავლელს, რომ პასუხი მოძებნოს ტექსტში და იქვე მონიშნოს.
4. აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება. შემსწავლელი კონტექსტის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს, რას შეიძლება ნიშნავდეს მე-3 აქტივობის ტექსტში მოცემული სიტყვა "ავი". სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. განსახორციელებელი დრო – 3 წთ. შემსწავლელის რვეულში მოცემულია ტექსტი თბილისის უბნების შესახებ. რუკაზე უნდა მონიშნონ ეს ადგილები. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ფორუმში (დავალება N 4)
5. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა ისევ უნდა გადაიკითხოს მე-2 აქტივობაში მოცემული ტექსტი და დაწეროს რას ნიშნავს "ავჭალა". სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. განსახორციელებელი დრო – 3 წთ.
6. აქტივობა შემსწავლელს ეხმარება შესაბამისი გრამატიკული მასალის ათვისებაში. კერძოდ, ტექსტიდან უნდა ამოწეროს ადგილის ზმნიზედები. განსახორციელებელი დრო – 4 წთ. **ბ** აქტივობაში მასწავლებელი ეხმარება შემსწავლელს პირობის გაგებაში და ეუბნება, რომ ტექსტიდან უნდა ამოიწეროს მიმართულების აღმნიშვნელი ფრაზები და უნდა დაწეროს ავტორის მიერ გავლილი მარშრუტი, შემდეგ კი ეს წინადადებები უნდა გადაიყვანოს წარსულ დროში (წყვეტილისა და უწყვეტელის მწკრივის ფორმები).
7. ესაა წინა აქტივობის გაგრძელება. მოცემულია მიმართულების აღმნიშვნელი სინონიმური ფრაზები, რომლებსაც შემსწავლელი უკავშირებს ერთმანეთს. **ბ** აქტივობაში შემსწავლელი ადგენს წესს, რა მოსდის (კუმშვა, კვეცა) სახელს ადგილის ზმნიზედის ბოლოსართის დართვისას. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულში (აქტივობები 2 და 3). განსახორციელებელი დრო – 3 წთ.

ბლოკი 2: უსაფრთხოების ღვედი

1. აქტივობის მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი უსმენს ვიდეოჩანაწერს და ავსებს სიმღერაში გამოტოვებულ ადგილებს. განსახორციელებელი დრო – 5 წთ.
2. მოცემულია რამდენიმე ვარიანტი, რატომ იყენებენ ღვედს მგზავრობისას. აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება. სწორი პასუხის დაფიქსირების შემდეგ შემსწავლელის მიერ არჩეული პასუხის განამტკიცება არგუმენტით. **ბ** აქტივობაში მოცემულ ტექსტს შეადარებს საკუთარ ვერსიას. განსახორციელებელი დრო – 5 წთ. თემაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულში, რომელშიც შემსწავლელი ყვება, იყენებს თუ არა ღვედს (დავალება N 3). შემსწავლელის რვეულში გრძელდება მუშაობა ლექსიკაზე. უნდა იპოვონ ტექსტში მოცემული სიტყვების სინონიმები (დავალებები: N 1 და 2).
3. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. მოცემული ტექტებიდან შემსწავლელი ამოწერს ღვედის გამოყენების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს. შესაძლოა აქტივობა შესრულდეს წყვილში ან ფორუმში. განსახორციელებელი დრო – 5 წთ.
4. წინა აქტივობის გაგრძელება. აქტივობის მიზანია, შემსწავლელს დაეხმაროს შესაბამისი გრამატიკული მასალის ათვისებაში, კერძოდ, კავშირების გამოყენება. განსახორციელებელი დრო – 3 წთ. შემსწავლელი გადაიკითხავს ტექსტს **უსაფრთხოების ღვედის გამოყენების** შესახებ და ავსებს გამოტოვებულ ადგილებს. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულში, რომელშიც ახსნილია, რომელი კავშირი რა დროს გამოიყენება (დავალება N 6).

5. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი საუბრობს, როგორი დამოკიდებულება აქვს უსაფრთხოების ღვედის მიმართ, რამდენად ხშირად იყენებს მას და რა მიზნით. განსახორციელებელი დრო – 3 წთ. შემსწავლელის რვეულში გრძელდება ამ თემაზე მუშაობა. ეს მიზნად ისახავს წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას. შემსწავლელი წერს, რატომ უნდა გამოიყენოს მგზავრმა ღვედი.
6. შემსწავლელის რვეული. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელი წერს ტექსტს, რატომ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა გამოიყენოს ღვედი. დავალება უნდა შესრულდეს დამოუკიდებლად.

ბლოკი 3: თბილისის უბნები

1. აქტივობის მიზანია თემისთვის მომზადება. ყუთში მოცემულია მგზავრობასთან დაკავშირებული ფრაზები და თბილისის უბნები. შემდეგ ცალკე-ცალკე უნდა დაწეროს უბანი და ტრანსპორტი. განსახორციელებელი დრო – 2 წთ. შემსწავლელმა რვეულში უნდა მოიყვანოს არგუმენტები, რა განსხვავებაა ქუჩასა და უბანს შორის.
2. წინა აქტივობაში მოცემული უბნები უნდა აღნიშნონ რუკაზე. აქტივობის მიზანია კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. განსახორციელებელი დრო – 3 წთ.
3. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა ნანახი ვიდეოჩანაწერიდან ამოიწეროს სატრანსპორტო საშუალებები. განსახორციელებელი დრო – 3 წთ.
4. **ა** აქტივობა მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას უწყობას ხელს. შემსწავლელმა სიმღერიდან უნდა ამოიწეროს თბილისის უბნები. **ბ** – შემსწავლელი აკვირდება, როგორ იცვლება უბნის დასახელება "-ელ" დაბოლოების მიხედვით. **გ** – ადგენს წესს უბნის სახელწოდებაზე "-ელ" დაბოლოების დართვის მიხედვით. განსახორციელებელი დრო – 6 წთ.
5. ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა აუდიო- და ვიდეოჩანაწერის მიხედვით უნდა აღწეროს თბილისი. განსახორციელებელი დრო – 3 წთ.

ბლოკი 4: თბილისის ტრანსპორტის ისტორია

1. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. უნდა გამოთქვან ვარაუდები, რის შესახებ არის ტექსტი. განსახორციელებელი დრო – 1 წთ.
2. გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა წაიკითხოს ტექსტი და შეადაროს წინა დავალებაში გამოთქმულ საკუთარ ვერსიას.
3. სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი ისევ კითხულობს ტექსტს და ცხრილში მოცემული კითხვებიდან აღნიშნავს სწორ პასუხს. განსახორციელებელი დრო – 3 წთ.
4. აქტივობის მიზანია შესაბამის გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, როგორ გამოიყენოს კავშირები. მოცემულ წინადადებებში გამოტოვებულია ადგილი, რომელიც უნდა შეავსონ საჭირო კავშირით. განსახორციელებელი დრო – 2 წთ. ამ გრამატიკულ ფენომენზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულში (დავალებები: 1-ლი, მე-2 და მე-3).
5. წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი წერს საკუთარ აზრს. ძველ თბილისში რომ ცხოვრობდეს, რომელი ტრასნპორტით იმგზავრებდა. თავის აზრს ასაბუთებს არგუმენტებით. შემსწავლელი რვეულში წერს საინტერესო ადგილების შესახებ, ეს ინფორმაცია განკუთვნილია ტურისტებისთვის. სასურველია, ორივე აქტივობა შესრულდეს დამოუკიდებლად.
6. შემსწავლელი აქტივობაში დაწერილი ტექსტის მიხედვით ადგენს წინა საინფორმაციო ბუკლეტს.

თავი VIII

საყიდლები

ბლოკი 1: ონეომანია

1. ა. სასურველია, მოცემული აქტივობა შესრულდეს ფორუმში. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გამოთქვას ვარაუდები მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით. აგრეთვე მისი მიზანია, შეამზდოს შემსწავლელი ტექტზე სამუშაოდ.
   ბ. აქტივობის მიზანია ადამიანის დასახასიათებლად საჭირო ეპითეტების სწავლება და იმის გახსენება, რაც უკვე იციან.
   გ. აქტივობის მიზანია ვარაუდის გამოთქმის სწავლება და შემზადება ტექსტზე სამუშაოდ.
2. აქტივობის მიზანია გამოთქმული ვარაუდების გადამოწმების სწავლება. აგრეთვე მისი მიზანია, შემსწავლელმა გადახედოს ტექსტს.
3. აქტივობის მიზანია კითხვის გლობალური უნარ-ჩვევის გავარჯიშება, რომლის დახმარებითაც შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტექსტის მიზანი.
4. აქტივობის მიზანია კითხვის სელექციური უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი ტექსტში ეძებს მხოლოდ ერთ შეკითხვაზე პასუხს.
   ამ დავალების შესრულების შემდეგ სასურველია, შესრულდეს შემსწავლელის რვეულის პირველი ბლოკის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 დავალებები. პირველი დავალების მიზანია, შემსწავლელმა კვლავ გადახედოს ტექსტს და შეეცადოს თავის სიტყვებით დაწეროს იმ მონაკვეთის მოკლე შინაარსი, რომელიც მითითებულია. ტექსტი უნდა დაწეროს მესამე პირში. მეორე დავალების მიზანია, გადატნითი მნიშვნელობის მქონე ფრაზების განმარტების სწავლება, რომელიც ქვეყანათმცოდნეობითი კუთხით არის საინტერესო. მესამე დავალების შესრულების დროს შემსწავლელს კვლავ ტექსტზე უწევს მუშაობა. მისი მიზანია, წერის უნარ-ჩვევის განვითარება კითხვის უნარ-ჩვევის დახმარებით.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა მიზნობრივ ენაზე ისწავლოს აზრის გამოთქმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
6. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა განასხვავოს ერთმანეთისგან ქართულ ენაში არსებული სხვადასხვა ფორმულა, რომლებიც გამოიყენება მომავალი დროის საწარმოებლად. მანამდე უნდა შესრულდეს შემსწავლელის წიგნის პირველი ბლოკის მეოთხე აქტივობა.
7. აქტივობის მიზანი კვლავ მომავალი დროის წარმოების სწავლებაა, ამჯერად ბრძანებითი კილოს გამოყენებით.
8. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით მსჯელობა და მცირე სახის წესის ფორმულირება.
   ამ დავალების შემდეგ, კარგი იქნება სამუშო რვეულის მეხუთე დავალების შესრულება, რომლითაც შემსწავლელი გაიხსენებს როგორც წართქმითი, აგრეთვე უკუთქმითი ბრძანებითი კილოს წარმოებას. სამუშაო რვეულის მეექვსე დავალების შეასრულებისას შემსწავლელს უვარჯიშდება მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევა და მოსმენილი ტექსტის ანალიზის უნარი, რადგან დავალების მიხედვით უწევს კითხვებზე პასუხის გაცემა და რჩევის მიცემა.
9. მოცემული აქტივობა, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკის შემაჯამებელი აქტივობაა. მისი მიზანია, შემსწავლელმა უკვე არსებული გამოცდილებით შეძლოს გარკვეული სახის წესების თავად ჩამოყალიბება, ბრძანებითი კილოს ნაწილაკების დახმარებით.

ბლოკი 2: ტექნიკა და განვადებით ყიდვა

1. აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება, თემისთვის შემზადება, ლექსიკის გავარჯიშება. შემსწავლელი ყვება საკუთარი გამოცდილების შესახებ, აქვს თუ არა შეძენილი ტექნიკა განვადებით და რომელი ბანკის განვადებით უსარგებლია. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ფორუმში.
2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს რა არის საჭირო განვადებისთვის. ეს დაეხმარება იმაში, თუ რეალურად დასჭირდება განვადება, ეცოდინება რა არის საჭირო.
3. აქტივობის მიზანია ლექსიკაში გავარჯიშება. ორ სვეტში მოცემულია სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც უნდა დაუკავშირონ ერთმანეთს. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულში (აქტივობა N 2), რომელშიც შემსწავლელმა უნდა დაწეროს ამ სიტყვების განმარტება მშობლიურ ენაზე.
4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი ეცნობა სხვადასხვა ბანკის მიერ შემოთავაზებულ პირობებს და პასუხობს მოცემულ შეკითხვებს. სასურველია,

აქტივობა შესრულდეს წყვილებში. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულში (აქტივობა N 3), რომელშიც შემსწავლელმა ისევ უნდა გადახედოს თითოეული ბანკის პირობას და უპასუხოს შეკითხვებს.

5. აქტივობის მიზანია თემის შეჯამება. შემსწავლელი წერს საკუთარ აზრს, რომელი ბანკის შეთავაზება მოეწონა და რატომ. აქტივიობაზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულში, რომელშიც შემსწავლელი მეწყვილეს ურჩევს, რომელ ბანში გააკეთოს განვადება, სად სთავაზობენ უკეთეს პირობებს (აქტივობა N 4). შემსწავლელი მიღებულ ინფორმაციას ადარებს სხვა ქვეყნის ბანკებს და აანალიზებს, რომელია უკეთესი და რატომ (აქტივობა N 5).

ბლოკი 3: ონლაინვაჭრობა

1. ამ აქტივობის მიზანია, შემსწავლელები შეამზადოს თემისთვის და ტექსტისთვის. იმსჯელებენ მოცემულ სურათებზე და გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რის შესახებ იქნება ტექსტი.
2. ამ აქტივობის მიზანია, წინარე ცოდნის აქტივაცია და ლექსიკის გავარჯიშება, შემსწავლელები მოიყვანენ არგუმენტებს, რა დადებითი და უარყოფითი ფაქტორები აქვს ონლაინვაჭრობას.
3. 3. მესამე აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები მოცემულ ტექსტებს შეურჩევენ სათაურებს.
4. ამ აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები შეავსებენ მოცემულ ცხრილს ტექსტის დახმარებით. სასაურველია, ამ აქტივობის შემდეგ შესრულდეს რვეულის მესამე ბლოკის პირველი აქტივობა, რომლის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. მეორე აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, შემსწავლელები ტექსტის დახმარებით დააკავშირებენ მოცემულ სიტყვებს.
5. მეხუთე აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები ტექსტის დახმარებით მოიყვანენ არგუმენტებს ონლაინვაჭრობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. დავალება შესრულდება ჯგუფურად.
   მუშაობა გრძელდება რვეულის მესამე აქტივობაზე, რომლის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები დაწერენ, რა გავლენას იქონიებს ონლაინვაჭრობის განვითარება საქართველოში არსებულ ბრენდებზე. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად, საშინაო დავალების სახით.
   რვეულის მეოთხე აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები დაწერენ, თუ რა შეიცვალა ბიზნესში ონლაინვაჭრობის განვითარების შემდეგ. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად, საშინაო დავალების სახით.
   მეხუთე აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები ურჩევენ მეგობარს, ისარგებლოს თუ არა საქართველოში ონალიანვაჭრობით. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად, საშინაო დავალების სახით.

ბლოკი 4: ონლაინვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

1. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს ონლაინშოპინგთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის სელექციური გაგება. ამ აქტივობას ასრულებენ ინდივიდუალურად და შემდეგ განიხილავენ მეწყვილესთან ერთად. მასწავლებელი სთხოვს შემსწავლელებს, რომ წინასწარ გაეცნონ კითხვებს და თუ ყველაფერი გასაგები იქნება, ამის შემდეგ ურთავს ვიდეოჩანაწერს. შემოწმებისას ჯერ სთხოვს შემსწავლელებს, რომ წყვილებში შეაჯერონ, იმსჯელონ და შემდეგ ეკითხება ინდივიდუალურად. ამავე მიზანს ემსახურება სამუშაო რვეულის 1-ლი აქტივობა.
2. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს ონლაინშოპინგის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტირება. ასევე, ეს არის მოსამზადებელი აქტივობა შემდეგი ტექსტისთვის. მასწავლებელი ყოფს ორ ჯგუფად, სთხოვს, რომ შეაჯამონ ონლაინ-შოპინგის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ეხმარება ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს დისკუსიის გამართვაში.
3. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელებმა უნდა გადახედონ მოცემულ ტექსტს და თავიანთი არგუმენტები იპოვონ ტექსტში.
4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელებმა უნდა წაიკითხონ ტექსტი და ამოიწერონ საჭირო ინფორმაცია. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის მე-2 აქტივობა.
   რვეულის მე-3 აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოცემული ფრაზების მნიშვნელობების ამოცნობა კონტექსტიდან და თავისი სიტყვებით დაწერა.

5. რვეულის მე-4 აქტივობის მიზანია საჭირო ლექსიკის გააქტიურება. შემსწავლელმა უნდა ჩამოწეროს იმ ნივთების დასახელებები, რომლებსაც ვიდეოში ნახავს.
6. რვეულის მე-5 აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავაჯიშება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოცემული გრაფების შევსება და სასურველი ნივთის შეკვეთა ონლაინ.
7. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოცემული წინადადებების დახმარებით რჩევების შემუშავება (,,უნდა“ ნაწილაკის გამოყენებით). ამავე მიზანს ემსახურება წიგნის მე-6 და რვეულის მე-6 აქტივობები.

თავი IX

მომხმარებლები და გადასახადები

ბლოკი 1: გადასახადები

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება და ვარაუდების გამოთქმა თემასთან დაკავშირებით. თემისთვის შესამზადებელია აგრეთვე რვეულის პირველი დავალება, რომელიც, სასურველია, შესრულდეს წიგნის პირველი დავალების შემდეგ.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გადაიკითხოს ტექსტი და იპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც დავალებაშია მოცემული. რვეულის პირველი ბლოკის მეორე დავალების **ა** პუნქტი მოსმენის სელექციური უნარის განსავითარებელია. შემსწავლელმა უნდა მოისმინოს და აღნიშნოს სწორი წინადადებები. **ბ** პუნქტში, კი წერის უნარ-ჩვევაც აქტიურდება და შემსწავლელმა მოსმენის შემდეგ უნდა დაწეროს მოკლედ, თუ როგორ უნდა მოიქცეს შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში. იმავე უნარების განვითარებას ემსახურება დავალების **გ** და **დ** პუნქტები.
3. აქტივობის **ა** პუნქტის მიზანია კითხვის სელექციური უნარ-ჩვევის განვითარება. **ბ** პუნქტის მიზანია, ვარაუდების გამოთქმის უნარის გამომუშავება თემის ირგვლივ, ჯგუფური დავალების მეშვეობით. რვეულის პირველი ბლოკის მესამე დავალების მიზანია, შემსწავლელმა კიდევ ერთხელ გადახედოს წიგნში მოცემულ ტექსტს, გააანალიზოს და გადმოსცეს ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ. ვითარდება წერის უნარ-ჩვევის.
4. აქტივობის მიზანია იმ ფრაზებისა და გამოთქმების სწავლება, რომლებიც დასჭირდება შემსწავლელს ავთენტიკურ სიტუაციაში უკმყოფილების გამოსახატავად. ფრაზებზე მუშაობა გრძელდება რვეულის პირველი ბლოკის მეოთხე დავალებაში, შემსწავლელმა თვითონ უნდა დაამატოს ფრაზები, რომლებსაც ფიქრობს, რომ გამოიყენებს უკმაყოფილების გამოსახატავად.
5. აქტივობის მიზანია, გააცნოს შემსწავლელს საჩივრის წერილის დაწერის სტრუქტურა. ამ დავალების შესრულებამდე, სასურველია შესრულდეს სამუშაო რვეულის მეხუთე დავალება, რომლის მიზანიცაა, ასწავლოს შემსწავლელს ნახევრად ფორმალური საჩივრის წერილის დაწერა მითითებული პუნქტების მიხედვით.
6. აქტივობის მიზანია, სტრუქტურის და პუნქტების გაცნობის შემდეგ, შემსწავლელებმა შეძლონ საჩივრის წერილის დაწერა. სასურველია, ამ დავალებამდე შესრულდეს რვეულის მეექვსე დავალება, რომლის მიზანიცაა, შემსწავლელს მისცეს მითითებები, თუ რა უნდა დაწეროს ოფიციალური საჩივრის წერილში.

ბლოკი 2: უცნაური გადასახადები

1. აქტივობის მიზანია ვარაუდების გამოთქმა და შემზადება შემდეგი დავალებებისთვის.
2. აქტივობის მიზანია ტექსტზე მუშაობის დაწყება კითხვის გლობალური უნარ-ჩვევით. რვეულის მეორე ბლოკის პირველი დავალების მიზანია იმ ლექსიკურ ერთეულებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ტექსტში გვხვდება.
3. აქტივობის მიზანია უცნაური გადასახადების სახეობების გაცნობა და ვარაუდების გამოთქმა.
4. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა დააჯგუფოს წინადადებები აკრძალვის ორ ფორმაში. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის მეორე ბლოკის მეორე დავალება, რომელიც შემდეგ დაეხმარება შემსწავლელს წესის ჩამოყალიბება.
5. ა და ბ პუნქტების მიზანია, შემსწავლელი დააკვირდეს ამოწერილ ფორმებს, ნახოს მათ შორის მსგავსება და განსხვავება. გ პუნქტის მიზანია, შემსწავლელმა თვითონ შეავსოს წესი, რაც მას განსხვავების უკეთ აღქმაში დაეხმარება.
6. აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა თემის ირგვლის მოიფიქრონ წინადადებები, რომლებშიც გამოიყენებენ ვნებითი გვარის აკრძალვის ფორმას. რვეულის მეორე ბლოკის მეხუთე დავალების მიზანია, შემსწავლელებმა იმუშაონ თემის ირგვლივ მედიასაშუალებებით.

ბლოკი 3: კარცერ-ლუქსი

1. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი ტექსტის წაკითხვის შემდეგ იპოვის ფრაზას, რომელიც შეესაბამება პერსონაჟს.
2. მეორე აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი წაიკითხავს ტექსტს კიდევ ერთხელ და უპასუხებს შეკითხვას.

3. მესამე აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის პირველ და მეორე აქტივობებში.
4. მეოთხე აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, შემსწავლელები იმსჯელებენ მოცემული ნაწყვეტის ირგვლივ და გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს.
5. მეხუთე აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები დაიყოფიან ორ ჯგუფად და იმსჯელებენ ტექსტში შემოთავაზებულ იდეაზე.
6. რვეულის მესამე აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, შემსწავლელებმა უნდა მოიფიქრონ და დაწერონ წესები.
7. რვეულის მეოთხე აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.

ბლოკი 4: ინტერნეტი და სამომხმარებლო ბაზარი საქართველოში

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელები შეამზადოს ინტერნეტისა და სამომხმარებლო ბაზრის თემაზე სასაუბროდ. მოცემული აქტივობა ემსახურება ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშებას, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ინტერნეტპროვაიდერთა მომსახურებაზე ფასის, ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
2. **ა** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ინტერნეტკომპანიების შესახებ მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს ორი ინტერნეტკომპანიის დასახელების გაგება. **ბ** აქტივობაში შემსწავლელი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს ჯგუფს და მოჰყავს არგუმენტი, რატომ აირჩია მან ეს კომპანია.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ინტერნეტკომპანიების შესახებ მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება და მოცემული კომპანიების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მონიშვნა ცხრილში. სასურველია, ამ აქტივობის შემდეგ მოსწავლის რვეულიდან შესრულდეს პირველი და მეორე აქტივობები, რომელთა მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ინტერნეტკომპანიების შესახებ მოსასმენი ტექსტის დეტალური გაგება.
4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ინტერნეტკომპანიების შესახებ მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება. შემსწავლელები უსმენენ ვიდეოჩანაწერს და ასრულებენ მოცემულ წინადადებებს. ამავე მიზანს ემსახურება მოსწავლის რვეულის მე-3 აქტივობა.
5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს საქართველოში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შესახებ მოცემული ტექსტის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელები ეცნობიან კვლევის მონაცემებს და აღნიშნავენ სწორ პასუხებს.

თავი X

კვება

ბლოკი 1: ქართული ტრადიციული კულინარია

1. აქტივობის მიზანია შეამზადოს შემსწავლელი თემისათვის. ამ დავალების შესრულებისას შემსწავლელი გაიხსენებს ქართული სამზარეულოს ტრადიციულ კერძებს, რომლებიც შემდგომ დავალებებშიც შეხვდება.
2. აქტივობის მიზანია ტექსტის გლობალურ/დეტალური გაგება. ტექსტზე მუშაობა გრძელდება სამუშაო რვეულის პირველი ბლოკის პირველსა და მეორე დავალებაში. (დავალებებს აქვს ქვეყანათმცოდნეობითი დატვირთვა). შემსწავლელები განმარტავენ კონკრეტული ფრაზების მნიშვნელობებს.
3. აქტივობის მიზანია ტექსტის სელექციური გაგება. დავალების შესრულებისას შემსწავლელები განასხვავებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებს თავისი კერძებით.
4. **ა** დავალების მიზანია, შემსწავლელი გაეცნოს იმ გამორჩეულ ზმნებს, რომლებიც კუინარიასთანაა დაკავშირებული და ისწავლოს მათი მნიშვნელობა.
5. **ბ** აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გადაამოწმოს კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა, რათა ზუსტად გაიგოს რას ნიშნავს.
6. აქტივობის მიზანია კულტურათა შედარება. შემსწავლელებმა წინა დავალებების შესრულებისას იმუშავეს ქართულ სამზარეულოსთან დაკავშირებულ დავალებებზე. ამ დავალების შესრულებისას კი ისინი წარადგენენ თავიანთი ქვეყნის სამზარეულოს. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა არგუმენტირებულად გასცეს პასუხი თითოეულ შეკითხვას.

ბლოკი 2: კერძები რეგიონების მიხედვით: სვანეთი

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა გაიაქტიურონ წინარე ცოდნა ქართულ სამზარეულოსთან დაკავშირებით.
2. აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია და ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
3. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
4. სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება მეოთხე აქტივობაში. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის პირველი აქტივობა. დეტალური მოსმენა ვარჯიშდება რვეულის მეორე და მესამე აქტივობებში.
5. მოსმენილი ინფორმაციის მიხედვით შემსწავლელები შეძლებენ მოცემულ მიმღეობებს მიუწერონ ზმნის პირიანი ფორმები. მოცემულ გრამატიკულ ფენომენზე ვარჯიში გრძელდება მე-6 და მე-7 აქტივობებში, რომლითაც შემსწავლელებმა უნდა შეძლონ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წესის შედგენა.
6. მერვე აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, შემსწავლელებმა უნდა შეძლონ მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე ერთ-ერთი კერძის მომზადების წესის გაგება. სელექციურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მე-5 აქტივობაში. რვეულის მე-6 აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
7. მე-9 აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მე-7 და მე-8 აქტივობებში.
8. ბლოკის შემაჯამებელი აქტივობაა რვეულის მე-9 აქტივობა, რომლითც შემსწავლელმა უნდა შეძლოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მისთვის სასურველი ტრადიციული კერძის რეცეპტის შედგენა.

ბლოკი 3: კვების ობიექტები საქართველოში

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა მაგალითის მიხედვით გამოიცნოს დანიშნულების ადგილის სახელი, სადაც იყიდება მოცემული საკვები პროდუქტები.
2. აქტივობის მიზანია სა—ე აფიქსების მნიშვნელობის გაგება. მასწავლებელი ეხმარება შემსწავლელს, თვითონ მიხვდეს, რას გამოხატავს ეს აფიქსები. შემდეგ ყურადღებას გაამახვილებს, რომ პიცერია სხვანაირად იწარმოება.
3. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვისადა ლაპარაკის უნარ-ჩვევების გავარჯიშება. პირველად შემსწავლელი გამოთქვამს ვარაუდს, რატომ მოსწონთ უცხოელებს ქართული სამზარეულო, შემდეგ კი ტექსტში გადაამოწმებენ.

4. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი კიდევ ერთხელ გადახედავს ტექსტს და უპასუხებს შეკითხვებს. ამავე უნარ-ჩვევის გავარჯიშებას ემსახურება შემსწავლელის რვეულის შემდეგი (აქტივობები: 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4).
5. შემსწავლელი მუშაობს მეწყვილესთან ერთად. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. მეწყვილესთან ერთად პოულობს, რატომ მოსწონთ/არ მოსწონთ უცხოელებს ქართული სამზარეულო. შემსწავლელის რვეულის ამავე აქტვივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი აფიქსირებს საკუთარ აზრს სტატიაში მოცემულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.
6. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი მოცემული პუნქტების მიხედვით წერს კვების როგორ ობიექტს ააშენებდა.

ბლოკი 4: ჩიხირთმა თუ ბოზბაში?

1. პირველი აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის აქტივაცია. შემსწავლელებმა უნდა გაიხსენონ და დაწერონ კერძები, რომლებიც ახსოვთ.
2. მეორე აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
3. მესამე აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემსწავლელებმა უნდა დაწერონ, რომელ კულინარიულ დილემაზეა საუბარი ვიდეოჩანაწერში. სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება გრძელდება რვეულის პირველსა და მეორე აქტივობებში.
4. მე-4 და მე-5 აქტივობების მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. დეტალურ კითხვაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მე-3 აქტივობაში.
5. რვეულის მე-4 აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება, ასევე შემსწავლელები გაიაქტიურებენ წინარე ცოდნას.
6. რვეულის მე-5 აქტივობა ეხმარება შემსწავლელებს წერის უნარ-ჩვევას განვითარებაში. შემსწავლელები დაწერენ, მათი აზრით, როგორ გაგრძელდება კამათი ლუარსაბსა და დარეჯანს შორის.
7. მეექვსე აქტივობა არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა. შემსწავლელბი დაიყოფიან ორ ჯგუფად და დაწერენ მოცემული კერძების მომზადების წესს.

თავი XI

სწორი კვება და ჯანმრთელობა

ბლოკი 1: სწრაფი კვება

1. ა აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა გაიხსენოს სწრაფი კვების ობიექტები, რომლებიც აქამდე გაუგია. აქტივობა შესაძლებელია შესრულდეს ინდივიდუალურად, რადგან მარტივი დავალებაა, პასუხი ფოტოებიდანვე ჩანს.
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა გაიხსენონ საკვების დასახელებები, რომლებსაც მიირთმევენ სწრაფი კვების ობიექტებში.
   გ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა კვების თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა შეძლოს.
2. **ა** აქტვიბის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სლოგანის, როგორც ტექსტის სახეობის, ამოცნობა.
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა თვითონ შეძლოს სლოგანის შედგენა. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ჯგუფურად, რადგან შემსწავლელები ერთად უფრო საინტერესო სლოგანს მოიფიქრებენ და თვითონაც უფრო მოეწონებათ ჯგუფურად მუშაობა ამ საკითხზე.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს კვების თემასთან დაკავშირებული წასაკითხი ტექსტის გლობალური გაგება და აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბება. სასურველია, ამ აქტივობის შემდეგ შესრულდეს შემსწავლელის რვეულის პირველი აქტივობა, რომლის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს კვების თემასთან დაკავშირებული ტექსტის სელექციური გაგება.
4. მუშაობა გრძელდება შემსწავლელის წიგნის **4.ა** აქტივობით, რომლის მიზანია კვების თემასთან დაკავშირებული ტექსტის დეტალური გაგება და წერილობით ჩამოყალიბება. ამავე მიზანს ემსახურება მოსწავლის რვეულის მე-2 აქტივობა და წიგნის მე-5, მე-6 აქტივობები.
5. შემსწავლელის რვეულის მე-2 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს კვების თემასთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტის დეტალური გაგება.
6. 6. შემსწავლელის წიგნის მე-7 აქტივობა არის წაკითხული ტექსტის შემაჯამებელი. სასურველია, ეს აქტივობა შესრულდეს მცირე ჯგუფებში, რადგან შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს.
7. წიგნის მე-8 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა თქვას, როგორ იკვებება, სწრაფ კვებას ანიჭებს უპირატესობას თუ სახლში მომზადებულ საკვებს. შეძლოს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად მყარი არგუმენტების მოყვანა.
8. შემსწავლელის რვეულის მე-3 აქტივობის მიზანია უკვე ნაცნობ თემაზე მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოსასმენი ტექსტიდან კვების ობიექტებისა და სწრაფი კვების კერძების დასახელებების ამოწერა. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის მე-4 აქტივობა, რომელშიც შემსწავლელებმა უნდა შეძლონ ვიდეოში გამოკითხული ადამიანების მოსაზრებების გაგება იმის შესახებ, თუ რატომ მიირთმევენ შაურმას.
9. რვეულის მე-5 აქტივობის მიზანია სწრაფი კვების შესახებ მოსასმენი ტექსტის დეტალური გაგება. ამ აქტივობაში შემსწავლელებმა უნდა შეძლონ იმის გაგება, თუ ვინ რას ფიქრობს მაკდონალდსის შესახებ ვიდეოს მიხედვით. ამავე მიზანს ემსახურება რვეულის მე-6 აქტივობა, რომელშიც შემსწავლელებმა მოცემულ წინადადებებს უნდა მიუწერონ შესაბამისი ასო.
10. შემსწავლელის რვეულის მე-7 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ნასწავლი მასალის გამოყენება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს კვების თემაზე კითხვარის შედგენა, შეკითხვებზე პასუხის გაცემა და გამოკითხვის შედეგების შეჯამება.

ბლოკი 2: კვება, სასარგებლო ნივთიერებები და ჯანმრთელობა

1. ეს არის მოსამზადებელი აქტივობა მომდევნო აქტივობებისთვის. შემსწავლელმა უნდა შეძლოს ჩამოწერა, დღის რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული დასახელებები.
2. ა აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს დასახელებული კერძებისა და პროდუქტების კატეგორიზაცია. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა დააჯგუფოს, რომელი კერძი/პროდუქტი ეკუთვნის ცომეულს, ბოსტნეულს, ტკბილეულს და ხორცეულს.
   ბ. შემსწავლელმა უნდა შეძლოს ჯანსაღი კვების რაციონის შედგენა. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. ეს არის მომდევნო წასაკითხი ტექსტის შესამზადებელი აქტივობა.
3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ჯანსაღი კვების შესახებ წასაკითხი ტექსტის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა ტექსტიდან უნდა ამოწეროს ჯანსაღი კერძები და პროდუქტები და შეავსოს **მე-2.ბ** აქტივობის ცხრილი.

4. აქტივობის მიზანია ჯანსაღი კვების შესახებ წასაკითხი ტექსტის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა უნდა უპასუხოს მოცემულ შეკითხვებს ტექსტის მიხედვით და შეავსოს ცხრილი. ამავე მიზანს ემსახურება მე-5 აქტივობაც.
5. აქტივობის მიზანია ჯანსაღი კვების შესახებ წასაკითხი ტექსტის დეტალური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა სინონიმური მნიშვნელობის ფრაზები უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს.
6. აქტივობის მიზანია კვების რაციონის შესახებ შეკითვების დასმა და ინფორმაციის ჩანიშვნა, ასევე, გამოკითხული ინფორმაციის მიხედვით სწორ კვებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა.
7. შემსწავლელის რვეულის 1-ლი აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა იმის შესახებ, არის თუ არა კავშირი სწორ კვებასა და ადამიანის განვითარებას/ ჯანმრთელობას შორის. სასურველი, აქტივობა შესრულდეს წყვილებში.
8. აქტივობის მიზანია კვებასთან დაკავშირებული აუდიოჩანაწერის სელექციური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა სახელები უნდა მიუწეროს ვის ეკუთვნის მოცემული ფრაზები.
9. აქტივობის მიზანია კვებასთან დაკავშირებული აუდიოჩანაწერის დეტალური გაგება. კერძოდ, შემსწავლელმა მოცემული ფრაზები და სიტყვები უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს. ამავე მიზანს ემსახურება შემსწავლელის რვეულის მე-4 აქტივობა.
10. აქტივობის მიზანია ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული ლექსიკის გავარჯიშება.
11. აქტივობის მიზანია მეორე კავშირებითის წარმოების შეჯამება / გამეორება.

ბლოკი 3: ჯანსაღი ცხოვრების წესი

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გაარჩიოს ერთმანეთისაგან ჯანმრთელობისათვის საზიანო და სასარგებლო ფაქტორები. შემდეგ თვითონ უნდა განსაზღვროს, რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ფაქტორი.
2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გლობალურად გაიგოს ტექსტი. ტექსტს მიუსადაგოს ილუსტრაცია და დაასათაუროს.
   შემსწავლელის რვეულის მე-2 დავალების მიზანია, შემსწავლელმა აითვისოს ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თემისათვის მნიშვნელოვანია.
3. აქტივობის მიზანია დეტალურად კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა გაიგოს ტექსტი დეტალურად, რათა შეძლოს არგუმენტების მოყვანა ტექსტიდან.
   შემსწავლელის რვეულის მე-3 დავალების მიზანია, შემსწავლელმა გაიგოს თემასთან დაკავშირებული ფრაზების მნიშვნელობა და დაწეროს თავისი სიტყვებით.
4. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის ვარჯიში. შემსწავლელმა უნდა შეძლოს არგუმენტირებული წერა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: სწრაფი კვება, თამბაქო…
5. **ა** აქტივობის მიზანია, აქტუალურ თემაზე დაწერილი ტექსტის არგუმენტების გაგება.
   ბ აქტივობით შემსწავლელმა უნდა შეძლოს განსაზღვორს რამდენად მყარია ტექსტში მოყვანილი არგუმენტები.
   გ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა უნდა შეძლოს გადააბას ფრაზები ისე, რომ მიიღოს არგუმენტირებული,
   გაბმული ტექსტი. ასევე უნდა შეძლოს, არგუმენტირების მოყვანის დროს გამოიყენოს შემდეგი ფრაზები: უპირველეს ყოვლისა…, ამას გარდა…,ერთი მხრივ…
   შემსწავლელის რვეულის მე-4 დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ტექსტის სელექციური კითვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. თემასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების ათვისება.

ბლოკი 4: ჭარბი წონა და დიეტა

1. აქტივობის მიზანია გააააქტიუროს შემსწავლელის წინარე ცოდნა ჭარბი წონის და დიეტის თემასთან დაკავშირებით.
2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
3. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
4. აქტივობის მიზანია,დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
5. **ა** აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
   ბ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეიმუშავოს რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე: რომელი სხვადასხვა პროდუქტია დაშვებული დიეტის დროს, რა რაოდენობით უნდა მივირთვათ, როგორი სახით და დღის რომელ მონაკვეთში.

შემსწავლელის რვეულის მე-5 დავალების მიზანია ღია ტიპის წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, რომელიც შეეხება დიეტის თემას.

თავი XII

კავკასია

ბლოკი 1: კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება. სასურველია, აქტივობა შესრულდეს წყვილებში. შემსწავლელებმა რუკაზე უნდა მონიშნონ გეოგრაფიული ადგილები. რვეულის პირველი აქტივობა კი ემსახურება დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავაჯიშებას. შემსწავლელმა უნდა მოისმინოს და აღნიშნიოს სწორი წინადადებები.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელები წაკითხული ტექსტის მიხედვით აღნიშნავენ სწორ პასუხებს. განსახორციელებელი დრო – 5-7 წთ. იმავე მიზანს ემსახურება რვეულის მე-3, მე-4 აქტივობები.
3. მე-3 აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს მოცემული ფრაზების მნიშვნელობების ამოცნობა კონტექსტიდან და თავისი სიტყვებით დაწერა.
4. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. მოცემული ტექსტიდან შემსწავლელი ამოწერს კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელ რამდენიმე მნიშვნელოვან წინადადებას. შესაძლოა აქტივობა შესრულდეს წყვილებში. განსახორციელებელი დრო – 5 წთ.
5. მეხუთე აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელმა უნდა შეძლოს, მოკლედ გადმოსცეს, რატომ ესტუმრებოდა კავკასიას. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად, საშინაო დავალების სახით. რვეულის მეხუთე აქტივობა კვლავ დეტალური კითხვის უნარის განვითარებისთვისაა. შემსწავლელმა უნდა ამოწეროს და დააჯგუფოს ინფორმაცია.
6. რვეულის მეექვსე აქტივობაში შემსწავლელები ფოტოებს უკავშირებენ ლექსიკურ ერთეულებს. განსახორციელებელი დრო 2 – წუთი. შემსწავლელები მუშაობენ ინდივიდუალურად.

ბლოკი 2: კავკასიელები

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელების შემზადება კითხვისთვის. შემსწავლელები გაიაქტიურებენ წინარე ცოდნას და იმსჯელებენ მოცემულ სურათზე. გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება ხდება რვეულის პირველ აქტივობაში, რომელშიც შემსწავლელები გადაამოწმებენ წიგნის პირველ აქტივობაში გამოთქმულ ვარაუდებს.
2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და აირჩევენ სწორ პასუხს. სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის პირველ აქტივობაში.
3. მესამე და მეოთხე აქტივობების მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები დეტალურად წაიკითხავენ ტექსტს კიდევ ერთხელ და უპასუხებენ შეკითხვებს. დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში გრძელდება რვეულის მე-2 აქტივობაში.
4. რვეულის მე-3 აქტივობის მიზანია ლექსიკის გავარჯიშება.
5. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, ამავდროულად ეს არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა. შემსწავლელები დაწერენ ხასიათის რომელი თვისებებია დამახასიათებელი მათი ხალხისთვის. ბლოკის შემაჯამებელი აქტივობაა რვეულის მე-4 აქტივობა, რომელშიც შემსწავლელებმა უნდა მოიძიონ მათი კულტურისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობა. ეს აქტივობა დამოუკიდებლად შესრულდება შემსწავლელის მიერ საშინაო დავალების სახით.

ბლოკი 3: სტუმარმასპინძლობის ტრადიცია

1. რვეულის პირველი აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მხატვრული ხასიათის ფილმის ნაწყვეტის შინაარსის გაგება. დავალება საინტერესოა ქვეყანათმცოდნეობის მიზნითაც. კარგი იქნება, თუ სწავლების დროს, შემსწავლელის ყურადღება გამახვილდება ნაწყვეტში ნაჩვენებ გარემოზე, ტრადიციებზე. დავალების შესრულებისას ხდება მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
2. აქტივობის მიზანია, სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. ტექსტის ყურადღებით წაკითხვის შემდეგ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს ცხრილში მოცემული წინადადებების დასრულება. რვეულის მეორე აქტივობაში გრძელდება მოსმენის სელეციური უნარის განვითარება. შემსწავლელმა ფილმში მოსმენილი ფრაზები უნდა გადმოსცეს თავისი სიტყვებით. ეს აქტივობა ხელს უწყობს ლექსიკის გამრავალფეროვნებას.
3. მესამე აქტივობის მიზანია ენის შემსწავლელისთვის ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიური გამონათქვამების მნიშვნელობის გაგება. რვეულის მესამე აქტივობის მიზანია დიალექტური სიტყვების

მნიშვნელობის ამოცნობა, რათა ავთენტიკურ სიტუაციაში, შემსწავლელმა შეძლოს საუბრის ძირითადი აზრის გაგება.

4. აქტივობის მიზანია სტუმარმასპინძლობის შესახებ წასაკითხი ტექსტის დეტალური გაგება და ლექსიკაში გავარჯიშება. ერთ სვეტში მოცემულია სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები განმარტებულია მეორე სვეტში და ისინი უნდა დაუკავშირონ ერთმანეთს. სასურველია, აქტივობა შესრულდეს ინდივიდუალურად. რვეულის მე-4 აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
5. აქტივობის მიზანი დეტალური კითხვის უნარ-ჩვევის გავარჯიშებაა. მოცემული ტექსტიდან შემსწავლელი ამოწერს ფრაზებს სტუმრის მნიშვნელობაზე და დაუწერელ კანონზე სტუმარმასპინძლობის შესახებ. რვეულის მე-5 აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.
6. 6. აქტივობის მიზანია სტუმარმასპინძლობის თემაზე საკუთარი გამოცდილების გადმოცემა წერილობით, რის შედეგადაც ვარჯიშდება წერის უნარ-ჩვევა. წერის უნარ-ჩვევის განვითარებას ემსახურება წიგნის მე-7 და რვეულის მე-5 დავალებებიც.
7. რვეულის მე-6 აქტივობის მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელი უსმენს ვიდეოჩანაწერს და ავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს. რვეულის შემდეგი აქტივობები მოსმენის სელექციური უნარის განსავითარებელია. მე-7 დავალებაში შემსწავლელმა უნდა მოისმინოს და აღნიშნოს სწორი წინადადებები. მე-8 დავალებაში კი შეძლოს მოსმენილის წერილობით გადმოცემა, ეს დავალება წერის უნარ-ჩვევასაც ავითარებს.

ბლოკი 4: საქართველოს ქისტები

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელებმა გაიაქტიურონ წინარე ცოდნა საქართველოში მცხოვრები ეთნოსების შესახებ. ეს მომდევნო დავალების მოსამზადებელი აქტივობა.
2. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელები ეცნობიან ტექსტს ერთ-ერთი გეოგრაფიული ადგილის შესახებ და ამ ადგილს აღნიშნავენ რუკაზე. განსახორციელებელი დრო – 4 წთ.
3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. შემსწავლელები გადაიკითხავენ წინა დავალებაში მოცემულ ტექსტს და მოძებნიან საჭირო ინფორმაციას, შეავსებენ ცხრილს. განსახორციელებელი დრო – 5 წთ. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის სამუშაო რვეულში.
4. აქტივობის მიზანია გრამატიკული ფენომენის, პირველი თურმეობითის ფორმების შესწავლა. შემსწავლელები ტექსტში პოულობენ პირველი თურმეობითის ფორმებს და ადგენენ გრამატიკულ წესს. აქტივობაზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის სამუშაო რვეულის მე-2 და მე-3 აქტივობებში.
5. აქტივობა არის წინა დავალების გაგრძელება, შეჯამება. შემსწავლელები აქაც ადგენენ წესს, თურმეობითის ფორმებთან რომელი ბრუნვები გამოიყენება. გრამატიკული მასალის განმტკიცება გრძელდება რვეულის მე-4 და მე-5 აქტივობებში.

შინაარსი

თავი I
ბიოგრაფია 1

თავი II
სამოტივაციო წერილები და გასაუბრება 3

თავი III
პროფესიები 5

თავი IV
მოგზაურობა 7

თავი V
სპორტი 9

თავი VI
თავისუფალი დრო 11

თავი VII
თბილისი და ქალაქში გადაადგილება 13

თავი VIII
საყიდლები 15

თავი IX
მომხმარებლები და გადასახადები 18

თავი X
კვება 20

თავი XI
სწორი კვება და ჯანმრთელობა 22

თავი XII
კავკასია 24

www.geofl.ge